

**ამინომჟავების დანამატების გავლენის შესწავლა ქლორპრომაზინის
მემბრანებიდან გამოთავისუფლების პროცესზე**

ანი ცხადაია

ელ-ფოსტა: ani.tskhadaia724@ens.tsu.ge

ქიმიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ი.
ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

ქლორპრომაზინი (CPM) ფართოდ გავრცელებული სამკურნალო საშუალებაა. იგი ზედაპირულად აქტიური მიცელაწარმოქმნელი ნივთიერებაა, ამასთან ხასიათდება მნიშვნელოვანი პრესისტემური მეტაბოლიზმით. აქედან გამომდინარე, საინტერესოდ გვესახება დანამატების გავლენის შესწავლა CPM-ის ორგანიზმში გადატანის პროცესზე. დანამატებად შერჩეულია ამინომჟავები, რომლებიც წარმატებით გამოიყენება წამლის გამოთავისუფლების სიჩქარის კონტროლისთვის, წამლის მიწოდების სისტემების ეფექტურობის გაზრდისთვის, წამლის ხსნადობის და წამლის სტაბილურობის გასაუმჯობესებლად, წამლის მიზანმიმართული მიწოდების ხელშესაწყობად და სხვა.

შესწავლილია CPM-ის გამოთავისუფლების პროფილი დონორულ ხსნარში ამინომჟავების თანაობისას. გამოთავისუფლებული CPM ისაზღვრებოდა მეთოდიკით, რომელიც ემყარება სისხლის წითელი მარილის, რკინის ქლორიდის და ძმარმჟავას გამოყენებას და მიღებული შეფერილი ხსნარის ოპტიკური სიმკვრივის გაზომვას. აღმოჩნდა, რომ ცელულოზას სადიალიზე პარკებიდან CPM-ის გამოთავისუფლების წონითი პროცენტი მნიშვნელოვნად ნაკლებია ასპარაგინის მჟავას დანამატის თანაობისას და საგრძნობლად მაღალია გამა-ამინოჟავის მჟავას დანამატის შემთხვევაში დანამატების თანაბარი კონცენტრაციის პირობებში.